www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 18 დეკემბერი, 2013 წელი. | №3431 (238) | ფასი 50

ვანო მერაბიშვილი მთავარი პროკურორის წინააღმდეგ

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ქუთაისში მიმდინარე სასამართლო სხდომაზე მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე ზეწოლაში დაადანაშაულა. „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ის გვიან ღამით ციხიდან გამოიყვანეს, თვალები აუკრეს და, სავარაუდოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში წაიყვანეს, სადაც, ვანო მერაბიშვილის მტკიცებით, პირადად მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე დახვდა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

შაჰდენიზის მეორე ეტაპი საქართველოს გავლით

ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში აზერბაიჯანში პირველი ოფიციალური ვიზიტი დაასრულა. ვიზიტის პირველ დღეს, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ, ღარიბაშვილმა ბაქოში საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, სადაც შაჰდენიზის პროექტის მეორე ფაზის დაფინანსების რეზოლუციას ხელი მოეწერა. ღონისძიებაში 10 ქვეყნის ლიდერები მონაწილეობდნენ.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მეორე ფაზის ხელმოწერას ევროპისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ღარიბაშვილი ალიევის სიტყვებს იმოწმებს და აღნიშნავს, რომ ახლო მომავალში ევროპის ენერგეტიკის რუკის მთლიანად შეცვლის შესაძლებლობა რეალურად არსებობს.

რაც შეეხება საქართველოს სარგებელს, როგორც პრემიერ-მინისტრი ამბობს, დაახლოებით, 5 წლის განმავლობაში 700 მილიონამდე დოლარის ოდენობის ინვესტიცია იგეგმება, 2-3 ათასამდე სამუშაო ადგილი გაჩნდება, ხოლო გაზის გამტარუნარიანობა თურქეთის მიმართულებით წლიურად 16 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება, საიდანაც 5 პროცენტი საქართველოში დარჩება, რაც, გაზსადენის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, წელიწადში დამატებით 1 მილიარდ კბ.მ-ზე მეტს შეადგენს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ევროკავშირში უკრაინას ისევ ეპატიჟებიან

მოსკოვმა კი კიევს გაზის ფასი დაუკლო

ივა ჭილაკაძე

კიევში და უკრაინის სხვა ქალაქებში ევროინტეგრაციის მოთხოვნით მასობრივი გამოსვლები ისევ გრძელდება. ინციდენტები ბოლო დღეებში არ მომხდარა. ხელისუფლებამ კუნთების თამაშის პოლიტიკაზე უარი თქვა, თუმცა „ევრომაიდანთან“ ახლოს პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის მომხრეებმაც დაიწყეს უვადო აქცია. ორშაბათს ბრიუსელში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა ჩატარდა, რომელზეც აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა და უკრაინის საკითხი კვლავ განიხილეს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ვიტალი კლიჩკომ WBC ქამარი პოლიტიკაში დატოვა

გიგა გურასაშვილი

კიევის ევრომაიდანზე მიმდინარე საპროტესტო აქციებმა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) მძიმეწონოსანი ჩემპიონის, ვიტალი კლიჩკოს შემდგომ სპორტულ კარიერაზეც იქონია გავლენა. უკრაინელმა მძიმეწონოსანმა, რომელიც რინგს მიღმა ასევე მძიმეწონოსან ლიდერად მოევლინა უკრაინის ხელისუფლებას, სპორტული კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ხელოვანების ხელშეწყობის ფონდ „ავტოგრაფის„ პრეზენტაცია



ლომის ზამთარი

პიტერ ო ტული 81 წლის ასაკში გარდაიცვალა

სოფიო ნემსაძე

პიტერ ო'ტულის შესახებ წლების განმავლობაში უამრავი მითი დაგროვდა: რომ მისი თვალების ფერი სინამდვილეში ფერადი ლინზების დამსახურება იყო, რომ ყველა პარტნიორ მსახიობ ქალთან ჰქონდა ინტიმური კავშირი, რომ საპატიო „ოსკარის“ მიღება არ სურდა, რადგან მანამდე განცდილი შვიდგზის იმედგაცრუება კარგად ახსოვდა. სინამდვილეში კი პიტერ ო'ტულის შესახებ მხოლოდ ერთი სიმართლე არსებობს - ის იყო ყველა დროის ნამდვილი ვარსკვლავი, კინოს ლეგენდა, შეუდარებელი არტისტი და ნამდვილი ჯენტლმენი.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ვანო მერაბიშვილი მთავარი პროკურორის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

იგი მერაბიშვილს, გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების სანაცვლოდ, ქვეყნის დატოვების შესაძლებლობას დაჰპირდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ციხეში პირობების გაუარესებით და ახლობლების დაპატიმრებით დაემუქრა.

„პარასკევს, გვიან ღამით, ორის ნახევარზე გამომიყვანეს ციხიდან, ჩამსვეს მანქანაში, თავზე გადამახურეს ჩემივე მოსაცმელი და წამიყვანეს, ჩემი ვარაუდით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. იქ კაბინეტში დამხვდა ორი ადამიანი. პირადად მთავარი პროკურორი ფარცხალაძე დამემუქრა, რომ თუ „ვითანამშრომლებდი“ ზურაბ ჟვანიას საქმეზე და ასევე მივაწვდიდი ინფორმაციას სააკაშვილის „ნაშოვნი ფულის“ ადგილსამყოფელზე, მაშინ მომცემდა ქვეყნიდან გასვლის შანსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში გამიუარესდებოდა პირობები და ჩემს პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ მეგობრებსაც დაიჭერდნენ,“ - განაცხადა მერაბიშვილმა, - **„მე გამოვთქვი გაკვირვება, რომ ეს ხელისუფლება ამდენი ხანია, ხელისუფლებაშია, გაეცნო ყველა მასალას და ნუთუ ვერ დარწმუნდნენ, რომ წინა ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიება უნაკლოა და სხვა განსხვავებული აზრის ჩამოყალიბება შეუძლებელია.**

ამავე დროს, ვურჩიე მას, როგორც ახალგაზრდა პროკურორს, არ გაემეორებინა თავისი წინამორბედის შეცდომები და არ დაეანონსებინა, რომ ჟვანიას საქმეს მალე გახსნიან და არ გაეზარდა მოლოდინი. თუ მე მის ამ წინადადებებს არ დავთანხმდებოდი, მან დამიხატა სურათი, რომ ციხეში ჩემი პირობები მკვეთრად გაუარესდება, რაზეც მე ირონიულად მივუგე, რომ ამაზე უარესი რა უნდა იყოს. მან ძალიან მკაფიოდ აღმიწერა, თუ როგორ ტირის დედაჩემი ყოველდღე, როგორ უჭირს ჩემს ოჯახს, ასევე იყო იაფფასიანი „ოპერული“ თქმა, რომ მე ყველამ მიმატოვა. მითხრა, რომ ღარიბაშვილი აპირებს, დიდხანს იყოს ხელისუფლებაში და მე ციხიდან ვერ გავალ. ამავე დროს, ჩემს პარტიულ და არაპარტიულ მეგობრებს გვერდით მომისვამს, ჩემს ნათესავებს და მეგობრებს, ვისაც ბიზნესი გააჩნია, ბიზნესს გაუჩერებს. მან განმიმარტა, რომ ჟვანიას საქმეს მაინც გახსნიან და ამაში მათ, მათივე განცხადებით, ამერიკელები ეხმარებიან. ამაზე ირონიულად გამეცინა, რადგან, მოგეხსენებათ, ფედერალური ბიურო იმთავითვე იყო ჩართული პროცესში. მითხრეს, რომ ორშაბათამდე მაქვს გადაწყვეტილების მიღების დრო. თუ დავთანხმდები, ასეთი პერსპექტივა დამიხატეს, რომ იმ ფულს, რომელიც მოპარული მაქვს, საქართველოდან გამატანინებენ,“ - განაცხადა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, ფარცხალაძეს გარდა, კაბინეტში, სადაც საუბარი შედგა, სავარაუდოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი დარბაისელი იმყოფებოდა. ყოფილი პრემიერის თქმით, ეს მეორე პირი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყო.

განცხადების გაკეთების შემდეგ ვანო მერაბიშვილმა პროტესტის ნიშნად სასამართლოს სხდომათა დარბაზი დატოვა.

მოგვიანებით, ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმა ციხის ვიდეოჩანაწერების გადაცემის მოთხოვნის შესახებ განცხადებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მიმართეს. დაკმაყოფილდება თუ არა ადვოკატების მოთხოვნა, 10 დღეში გახდება ცნობილი.

„ვანო მერაბიშვილის უსაფრთხოებიდან და იმ კანონდარღვევებიდან გამომდინარე, რაც მის განცხადებაშია აღნიშნული, მოვითხოვეთ ციხეში დამონტაჟებული კამერების ჩაწერილი მასალის უწყვეტი რეჟიმი - 10 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით. ვანო მერაბიშვილის საკანშიც და N9 დაწესებულების დერეფნებშიც მოთავსებულია სათვალთვალო კამერები, რომლებიც ნებისმიერ მოძრაობას და გადაადგილებას აფიქსირებენ,“ - განაცხადა დავით ხაჟალიამ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის აღნიშნულ განცხადებას, მთავარ პროკურატურასთან და სასჯელაღსრულების სამინისტროსთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარე და ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურნენ.

ირაკლი ღარიბაშვილი არ გამორიცხავს, რომ ვანო მერაბიშვილის მიერ სასამართლოში გაკეთებული განცხადება ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობა იყოს.

მისივე თქმით, მერაბიშვილის განცხადება არასერიოზულია და ახალი ხელისუფლება მსგავსი მეთოდებით არ მუშაობს.

„ამ საქმეში ჩემზე უკეთესი რესპონდენტები ფსიქოლოგები და ფსიქოანალიტიკოსები არიან და ისინი გააკეთებენ კომპეტენტურ კომენტარს,“ - განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, ღარიბაშვილის ვარაუდით, შეიძლება, მერაბიშვილის განცხადება ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაცია იყოს.

„შესაძლოა, ეს იყოს ახალი პროკურორის დისკრედიტაციის მცდელობა ან მერაბიშვილის გადაჭარბებული შიში. მოვისმინე, რომ ძველი თბილისის გამგეობის თანაშრომელი დააკავეს, რომელიც წარსულში ჟვანიას მძღოლი თუ პირადი დაცვა იყო. და მეორე - მერაბიშვილი ცდილობს, თავისი ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი დააშანტაჟოს,“ - განაცხადა პრემიერმა.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილის განცხადებას სერიოზული პასუხი უნდა გაეცეს.

„ეს ჩემთვის სრულიად ახალი ინფორმაციაა და ძალიან მიკვირს, წარმოუდგენელიც კი მგონია, რომ ამგვარი რამ მომხდარიყო, თუნდაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, სადაც თვისობრივად სხვა მეთოდებით მუშაობენ და, მით უმეტეს, ამგვარი მეთოდი მთავარ პროკურორს გამოეყენებინოს. ჩემი აზრით, ეს გამორიცხულია,“ - აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

წულუკიანის თქმით, ყოფილი პრემიერის ნათქვამს სერიოზულად უნდა მოეკიდონ და ყველა შესაბამისმა უწყებამ განცხადება უნდა გააკეთოს.

„რაკი ეს განცხადება გაკეთდა, ამას სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ და არა ისე, როგორც წინა ხელისუფლება აკეთებდა, როდესაც ყოველგვარი სერიოზული მიდგომის გარეშე ამბობდა, რომ მის გარდა, ყველა დანარჩენი იტყუებოდა. მე ამას ასე არ ვუყურებ. ვფიქრობ, ეს გამორიცხულია. რაკი სასამართლო სხდომაზე ეს განცხადება გაკეთდა, შესაბამისმა უწყებებმა შესაბამისი განცხადებები უნდა გააკეთონ. ამ განცხადებას სერიოზულობით უნდა მოეკიდონ და დასაბუთებული და სერიოზული პასუხი გასცენ,“ - აღნიშნა წულუკიანმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის თქმით, ყველა პატიმარს, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს, უფლებები აქვს, რომლებიც ყველა მხარემ უნდა დაიცვას.

„თუ რომელიმე ბრალდებულს, ვინც საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება, პრეტენზია აქვს, რომ მისი უფლება ვინმემ დაარღვია, კონკრეტული დარღვევის შესახებ პროკურატურს უნდა მიმართოს, რასაც შესაბამისი წესი და პროცედურა აქვს. პროკურორები ამ ქვეყანაზე იმიტომ არიან, რომ საქმეები გამოიძიონ და პატიმრებთან ჰქონდეთ ურთიერთობა და არა უფრო სასიამოვნო გარემოში სხვა თემებზე აწარმოონ საუბარი. ვერაფერს გეტყვით, თუ ვინ შეხვდა ბატონ ვანო მერაბიშვილს, როდის შეხვდა ან სად, რომელ დაწესებულებაში იმყოფებოდა ბატონი მთავარი პროკურორი. ეს მე არ ვიცი და არც შეიძლება ვიცოდე. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ ყველა პატიმარს, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს აქვს უფლებები და ეს უფლებები ყველამ მხარემ უნდა დაიცვას. ამასობაში გამოძიებას აქვს თავისი ვალდებულება და უფლებები გამოძიებისა და საპროცესო მოქმედებების წარმოებისას და ამის იქით თუ ვინმეს უფლება დაირღვევა, არსებობს წესი და რიგი, რომ ამას მიხედოს,“ - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ამასთან, მედიასთან საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ ისიც აღნიშნა, რომ პატიმრების ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის წესი არსებობს და თუკი ამ კუთხითაც რამე დარღვევას ჰქონდა ადგილი, უსუფაშვილის თქმით, ეს დარღვევაც უნდა გამოიძიონ.

რაც შეეხება მთავარ პროკურატურას, უწყება ყოფილი პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებას „აბსურდულს“ უწოდებს და მერაბიშვილზე ზეწოლის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

„ივანე მერაბიშვილის განცხადება სრულიად აბსურდულია და რეალობას არ შეესაბამება. მთავარი პროკურატურა კატეგორიულად უარყოფს აღნიშნულ პირზე რაიმე სახის ზეწოლის ფაქტს და აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მერაბიშვილის ბრალდების სასამართლო პროცესი დასკვნით ფაზაში გადავიდა, ბრალდებულები და მათი გულშემატკივრები სხვადასხვა ქმედებებს ახორციელებენ, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და პროცესის მონაწილეებზე ზეწოლას. ასეთ ქმედებას ადგილი ჰქონდა ივანე მერაბიშვილის წინა სასამართლო პროცესზეც, როცა ბრალდების მხარის მოწმე რ. სულამანიძის დაკითხვისას ამ უკანასკნელის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა განხორციელდა. ამ ფაქტის შესახებ მთავარ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო. ასევე, პროცესის შემდგომი ბრალდებულები და დაცვის მხარე რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდნენ, საზოგადოება შეცდომაში შეეყვანათ, თითქოს რ.სულამანიძეს სასამართლოზე მერაბიშვილის დანაშაულში მამხილებელი ჩვენება არ მიუცია, რაც რეალობას არ შეესაბამება და სრულად დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში. ასევე, ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას საქმეზე ამ ბოლო დროს სხვადასხვა პირების მხრიდან სპეკულირების ფაქტები გახშირდა, რასაც მთავარი პროკურატურა აღნიშნულ საქმეზე საგამოძიებო ქმედებების გააქტიურებას და ამ საქმის მიმართ მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს უკავშირებს,“ - ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ **„უსაფუძვლო და არასერიოზული განცხადებების მიუხედავად, უწყება ამ და სხვა საქმეებზე სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას ჩაატარებს და მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას განუხრელად გააგრძელებს.“**

სასჯელაღსრულების სამინისტროში კი არ აკონკრეტებენ, გადაიყვანეს თუ არა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი საკნიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტში.

სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ირაკლი კორძაიამ აღნიშნა, რომ **„თუ ამ თემაზე გამოძიება დაიწყება, სამინისტრო მზად არის, ყველა კითხვას გასცეს პასუხი“.**

ამასთან, გადაეცემა თუ არა ვანო მერაბიშვილის ადვოკატს ციხიდან გაყვანა-შეყვანის ამსახველი ერთკვირიანი ვიდეოჩანაწერები, კორძაიამ განაცხადა, რომ **„ვიდეოჩანაწერების ამოღება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება დაიწყება, სამინისტრო კი მზად არის, გამოძიებასთან ითანამშრომლოს.“**

ირაკლი კორძაია მერაბიშვილის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, მას ციხეში პირობების გაუარესებით დაემუქრნენ.

„ბატონი ვანოს განცხადება უცნაური ჟღერადობის და არადამაჯერებელია. ის ამბობს, რომ ემუქრებიან პირობების გაუარესებით. ამას ამბობს ადამიანი, რომლის მდგომარეობას ციხეში რეგულარულ მონიტორინგს უტარებენ, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე სახალხო დამცველი, ევროპარლამენტარები, ევროპის სახალხო პარტია და ასე შემდეგ. ამდენად, ეს აბსურდია,“ - განაცხადა ირაკლი კორძაიამ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კი პარტიის გენერალური მდივნის მიერ გუშინ გაკეთებული განცხადების გამო გამოძიების დაწყებას, ასევე მთავარი პროკურორისა და სასჯელაღსრულების მინისტრისთვის უფლებამოსილების შეჩერებას მოითხოვს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა საზოგადოებას ამცნო მთავარი პროკურორის მიერ განხორციელებული შანტაჟისა და ზეწოლის შესახებ, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მის გატაცებას და მთავარ პროკურორთან მიყვანას მოჰყვა. ამ უკანონო აქტის მიღმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხედავს მთავრობის ცალსახა პოლიტიკას, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ოპოზიციის პოლიტიკური დევნის ახალი ტალღა და რომლის მიზანია პოლიტიკური ოპოზიციის განადგურება, როგორც ეს არაერთხელ აღუნიშნავს „ქართული ოცნების“ ფაქტობრივ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოითხოვს, აღნიშნულ ფაქტზე სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება, გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერდეს მთავარ პროკურორ ფარცხალაძეს და სასჯელაღსრულების მინისტრ სუბარს,“ - განაცხადა უმცირესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა

«ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» საგარეო ურთიერთობათა მდივანი გიგა ბოკერია მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილის განცხადება საპარლამენტო კომისიამ უნდა გამოიძიოს.

ბოკერიას შეფასებით, ეს არის პოლიტიკური დევნის ახალი ეტაპი, რომელიც აქამდე გაუგონარი და სკანდალური ფორმებით გამოირჩევა.

„ეს არის ოპოზიციის ლიდერის ციხიდან მძევლად წაყვანა მაფიოზურ-ძველბიჭურ-კრიმინალურ გარჩევაზე, იქ აშკარა მუქარა და რაღაც აბსურდული გარიგების „შეთავაზება“. ასეთ დროს ნორმალურ ქვეყანაში, პირველ რიგში, კმაყოფილდება ადვოკატების მოთხოვნა, მიიღონ სამეთვალყურო კამერების ჩანაწერები და ვნახოთ, რა მოხდება,“ - განაცხადა ბოკერიამ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

შაჰდენიზის მეორე ეტაპი საქართველოს გავლით

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია იმისთვის, რომ საქართველომ საკუთარი დერეფანი კიდევ უფრო ეფექტურად აითვისოს და, რაც მთავარია, ამას რეგიონისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება,“ - აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

რეზოლუციის ფარგლებში დაგეგმილია პარალელური მილსადენის მშენებლობა, რომლის 387 კმ - აზერბაიჯანის, ხოლო 55 კმ საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის. გარდა ამისა, საქართველოში ორი დამატებითი საკომპრესორო სადგურის, ახალი წნევის რეგულირებისა და გამზომი სადგურის ინსტალაცია იგეგმება. ამასთან, პარალელური მილსადენების მშენებლობისთვის საქართველოს პორტებისა და რკინიგზის გამოყენებით, დაახლოებით, 350 000 ტონა სამშენებლო ტვირთისა და მასალის გადაზიდვა იგეგმება.

პროექტის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის მილსადენი (SCP) ახალი პარალელური მილსადენით გაფართოვდება, რომელიც აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე გაივლის. თურქეთში შაჰდენიზის გაზის ტრანსპორტირება ახალი ტრანსანატოლიური მილსადენის (TANAP) მეშვეობით მოხდება. ევროპაში აიგება ტრანსადრიატიკული მილსადენი (TAP), რომელიც გაზს საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით იტალიას მიაწვდის.

ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების დაწყება 2018 წლისთვის იგეგმება - პირველ ეტაპზე საქართველოსა და თურქეთს მიეწოდება, ერთი წლის შემდეგ კი გაზის ექსპორტი საბერძნეთში, ბულგარეთსა და იტალიაში დაიწყება.

ირაკლი ღარიბაშვილმა ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა, სადაც აღნიშნა, რომ უკანასკნელი მოვლენები და რეგიონში ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში შეძენილი გამოცდილება ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია აუცილებელი პირობების შექმნა ეფექტიანი თანამშრომლობისთვის, ასევე სატრანსპორტო მარშრუტების, წყაროებისა და მიმწოდებლების დივერსიფიკაციისთვის. **„სამხრეთის დერეფანში დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სატრანსპორტო პროექტების წარმატების უზრუნველყოფის ერთადერთი გზაა მომხმარებელი, სატრანზიტო და მწარმოებელი ქვეყნების ინტერესთა დაბალანსება. ისეთი პროექტების განხოციელება, როგორიცაა შაჰდენიზის მეორე ეტაპი, რომლის ინვესტიციების ოდენობა 6 სხვადასხვა ქვეყანაში, დაახლოებით, 40 მილიარდ დოლარს შეადგენს, ამ სახელმწიფოებს მართლაც მოუტანს სტაბილურობას, ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობას, აგრეთვე ხელს შეუწყობს რეგიონული ბაზრის განვითარებას და მოქნილობისა და ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლებას,“** - აღნიშნავს ღარიბაშვილი. მისი თქმით, ყველასთვის ცნობილია, შავი და კასპიის ზღვების რეგიონებს მომავალში რამდენი გამოწვევა ელით, რომლებთან გასამკლავებლადაც თანამიმდევრული და რაციონალური ნაბიჯების გადადგმა სამომავლო თანამშრომლობის ამოსავალი წერტილია.

პრემიერი საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. მან ორ ქვეყანას შორის არსებული საინტერესო და მრავალმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების იმედი გამოთქვა. **„ჩვენ აზერბაიჯანთან მრავალსაუკუნოვანი კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს. ჩემი ჩამოსვლა იმის დემონსტრირება იყო, რომ თანამშრომლობას ვაგრძელებთ,“** - თქვა პრემიერმა.

საკუთარი ინფორმაცია

საქართველო და მოლდავეთი ევროკავშირთან დაახლოების გზაზე

სუამ-ის შემდეგ საქართველოს დელეგაცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობას ასრულებს. ბისეკ-ის პრეზიდენტი ქვეყნის სტატუსი, რომელიც საქართველოს 6 თვის განმავლობაში ეკავა, საბერძნეთს გადაეცემა.

გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ «ბისეკ»-ის 42-ე სესია გაიხსნა, სადაც 12 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ღონისძიების პირველი დღე დელეგაციების მდივნების გაერთიანებულ შეხვედრას და ასამბლეის ბიუროს სხდომას დაეთმო, რომელსაც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უძღვებოდა.

ბიურომ თბილისში დღეისთვის დაგეგმილი პლენარული სხდომის დღის წესრიგის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღო. ბისეკ-ის საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელ დავით საგანელიძის თქმით, სხდომაზე მრავალფეროვანი თემებია განსახილველი. **„დისკუსიის საგანი იქნება ეკონომიკური, გარემოს დაცვითი, ტექნოლოგიური, კულტურული საკითხები, ასევე ტრანსპორტთან დაკავშირებული თემები,“** - ამბობს საგანელიძე.

ბიუროს სხდომის შემდეგ დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს ბისეკ-ში გაერთიანებულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დიდი ინტერესი გააჩნია და აღნიშნულ ორგანიზაციაში მუშაობის გაგრძელება მნიშვნელოვანია. **„საპარლამენტო ასამბლეასა და კომისიებს შორის ურთიერთობა უნდა გაუმჯობესდეს. ორგანიზაციაში არა მხოლოდ უშუალოდ შავი ზღვის სახელმწიფოები არიან გაერთიანებულები, არამედ იგი ჩვენს გეოპოლიტიკურ არეალს თითქმის სრულად მოიცავს,“** - აღნიშნავს უსუფაშვილი. ბისეკ-ში სულ 11 ქვეყანაა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საბერძნეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, თურქეთი და უკრაინა) გაერთიანებული.

უსუფაშვილმა ყურადღება იმ პოლიტიკურ და სამხედრო ბარიერებზე გაამახვილა, რომლებიც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს ერთმანეთთან აქვთ. **„შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის არიან ნატო-ს წევრი და არაწევრი ქვეყნები, არიან ევროკავშირის წევრები და ევროკავშირის მოწინააღმდეგეები, არიან ქვეყნები, რომელთაც ერთმანეთთან გადაუჭრელი პრობლემები აქვთ, არიან ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთს ძალიან ბევრ საკითხში არ ეთანხმებიან. მიუხედავად ამისა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში არის გააზრება იმისა, რომ მაინც საჭიროა ურთიერთობა, საჭიროა ინფრასტრუქტურული პროექტები, საჭიროა მეტი ინფორმაცია ერთმანეთის კულტურის და ყოფის შესახებ და შესაბამისი გაცვლითი პროგრამები, საჭიროა შესაბამისი გაცვლითი პროგრამები, საჭიროა საგანმანათლებლო სფეროში მეტი ურთიერთდახმარება, რათა მომავალმა თაობებმა უფრო განათლებულებმა შეძლონ იმ პრობლემების მოგვარება, რაც დღევანდელ ვითარებაში შავი ზღვის გარშემო მყოფ ქვეყნებს არ აძლევს საშუალებას, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ერთმანეთის პოტენციალი,“** - თქვა დავით უსუფაშვილმა.

ბისეკ-ის სესიის ფარგლებში დავით უსუფაშვილი მოლდავეთის პარლამენტის სპიკერს იგორ კორმანს დახურულ ფორმატში ესაუბრა. შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ ორი კვირის წინ საქართველომ და მოლდავეთმა ევროკავშირთან დაახლოების გზაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის პარაფირება მოახდინეს. **„ეს დადასტურებაა არა მხოლოდ იმისა, რომ ორი ქვეყანა საერთო კომუნისტურ წარსულს ებრძვის, არამედ დადასტურებაა იმისა, რომ იბრძვის საერთო მომავლისთვის, ქვეყნების კეთილდღეობისთვის. ჩვენ შევთანხმდით ბევრად უფრო მჭიდრო და აქტიურ თანამშრომლობაზე,“** - ამბობს დავით უსუფაშვილი, - **შევთანხმდით, რომ პარლამენტების შესაბამის კომიტეტებს შორის მუდმივი კონტაქტები დამყარდება და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ორი ქვეყანა ყოველთვის ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგება. ასევე, შევთანხმდით, რომ ჩვენს სამეზობლოში მდებარე ქვეყნებთან ურთიერთობები გაგრძელდება იმის მიუხედავად, ისინი ჩვენს მიდგომებს იზიარებენ თუ არა. ეს ყველაფერი ემსახურება მიზანს, რომ ჩვენი ქვეყნები განვითარდეს და იყოს მშვიდობა და თავისუფლება.“**

იგორ კორმანი ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით საქართველოსა და მოლდავეთის საერთო გზების მნიშვნელობაზე ხაზგასმით საუბრობს. **„მომავალი წლისთვის უკვე ხელს მოვაწერთ ხელშეკრულებას. მოლდავეთი ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის საკითხებს განიხილავს და მომავალი წლისთვის კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ელის. იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალ წელს საქართველოს მოქალაქეებიც მიაღწევენ იმას, რომ ევროკავშირში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა გვქონდეს. რა თქმა უნდა, ჩვენ ასევე ვითანამშრომლებთ სხვა ქვეყნებთან. ეს ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ასევე მოლდავეთისთვის,“** - ამბობს კორმანი. მან ქართველი კოლეგა მოლდავეთში მიიწვია.

საკუთარი ინფორმაცია

ნუგზარ წიკლაური: კობა ხარშილაძე ზურაბ ჟვანიას საქმის გამო დააპატიმრეს

ძველი თბილისის ყოფილ გამგებელ ლაშა ფურცხვანიძეს და მის მოადგილე კობა ხარშილაძეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში ბრალი გუშინ ოფიციალურად წარედგინათ.

საქმე ეხება გამგეობის მიერ 2007 წელს გამწვანების სამუშაოებზე გამოცხადებულ შესყიდვებს, რომელშიც, გამოძიების ინფორმაციით, ფურცხვანიძისა და ხარშილაძის კუთვნილი კომპანია „გრინ სერვისი“ მონაწილეობდა.

აღნიშნული პირები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 16 დეკემბერს დააკავა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ძველი თბილისის რაიონის გამგებელმა ლაშა ფურცხვანიძემ და მისმა მოადგილემ კობა ხარშილაძემ 2007 წლის 1 მაისს ნაცნობების - მარინა მურცხვალაძის, მამუკა მურვანიძის, გელა ქავთარაძის და კობა ყორღანაშვილის მეშვეობით დააფუძნეს შპს გრინსერვისი“, რომლის ფაქტობრივი მფლობელები და ხელმძღვანელებიც, მისი დაფუძნების დღიდან თვითონ იყვნენ. ძველი თბილისის გამგეობის სატენდერო კომისიის წევრები ფურცხვანიძე და ხარშილაძე ტენდერს აცხადებდნენ სწორედ მათი დავალებითა და მათ მიერვე შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით, შპს „გრინსერვისი“ ინტერესთა კონფლიქტის ვითარებაში მონაწილეობდა და იმარჯვებდა ძველი თბილისის გამგეობის მიერ გამწვანებით სამუშაოებზე გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში, რომელიც ცხადდებოდა უშუალოდ იმ ოდენობისა და სახეობის ხე-მცენარეებზე, რომელიც წინასწარ შეძენილი ჰქონდა კომპანიას.

2010 წლის 16 ნოემბერს საზოგადოების რეალურმა დამფუძნებლებმა შეცვალეს საწარმოს ფიქტიური დამფუძნებლები და თანაბრად გაიყვეს ფირმის 100-პროცენტიანი წილი, მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისთვის საწარმოს კაპიტალი შეადგენდა 1 381 487 ლარს, წილებზე საკუთრების მოპოვების კანონიერად წარმოსაჩენად შეადგინეს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები 100 პროცენტი წილის 400 ლარად შესყიდვის შესახებ.

წილების ოფიციალურად გადაფორმების შემდეგ, 2011 წლის 10 თებერვალს, იმავე წლის 1 ნოემბერს და 2012 წლის 25 იანვარს ლაშა ფურცხვანაძემ და კობა ხარშილაძემ სამ ეტაპად განახორციელეს შპს „გრინსერვისის“ მეშვეობით უკანონოდ მიღებული შემოსავლებისთვის კანონიერი სახის მიცემა 1 927 237 ლარის დივიდენდად გატანის გზით.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 337-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით,“ - ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ნუგზარ წიკლაური არ გამორიცხავს, რომ კობა ხარშილაძე ზურაბ ჟვანიას საქმის გამო იყოს დაკავებული, რადგან ის, თავის დროზე პრემიერ ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი იყო.

როგორც ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, მისთვის არ არის ცნობილი, კონკრეტულად რა ბრალდება წაუყენეს ხარშილაძეს.

„თუმცა, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომელსაც დღეს აქვს ადგილი, ჩვენ ცხადად ვხედავთ, რომ სრულიად შესაძლებელია, ეს დაკავებაც ამ საქმეს უკავშირდებოდეს. ხელისუფლებამ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებები პოლიტიკური მიზნით მრავალჯერ გამოიყენა, ეს მოხდა ამ არჩევნების წინაც,“ - განაცხადა წიკლაურმა.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული კიდევ სხვა ადამიანებიც დააკავონ, რათა როგორმე „ზურაბ ჟვანიას საქმის ფაბრიკაცია“ მოხდეს.

გიგი უგულავა პროკურატურაში დაიბარეს

თბილისის მერი გიგი უგულავა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების მიზნით დღეს, 13:00 საათისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურაშია დაბარებული.

პროკურატურის თანამშრომლებმა უწყება თბილისის მერიაში გუშინ, საღამოს, მიიტანეს.

დავით უსუფაშვილი - არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, გინებისთვის პარლამენტიდან გაირიცხონ, მაგრამ არ ვიცი, რამდენი კაცი დარჩება პარლამენტში

ასე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე სოსო ჯაჭვლიანის საგაზეთო ინტერვიუს, სადაც დეპუტატი ოპოზიციონერი კოლეგების მისამართით საკმაოდ უცენზურო სიტყვებს იყენებს.

„თუკი სიტყვას თავში ერთვის უცენზურო განმსაზღვრელი, ეს ნიშნავს, რომ მისი გამოყენება ნორმალურ საზოგადოებაში მიღებული არ არის - არც მედიით და არც თავშეყრის ადგილებში. მე ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ აღნიშნული ინტერვიუს და მასში გამოყენებული სიტყვების ავთენტიკურობას - ეს ნამდვილად ეკუთვნის თუ არა დეპუტატს, ვისზეც საუბარია,“ - განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ.

ამასთან, დავით უსუფაშვილმა მედიის იმ კითხვასაც უპასუხა, რომელიც სოსო ჯაჭვლიანის მიმართ დისციპლინურ ან სხვა ტიპის სანქციის შესაძლო გამოყენებას ეხება.

„არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, თუკი რომელიმე დეპუტატისგან სადმე გინება დაგიფიქსირებიათ, ის პარლამენტიდან და პარტიებიდან გაირიცხოს, მაგრამ არ ვიცი, ასეთ შემთხვევაში რამდენი კაცი დარჩება პარლამენტში,“ - განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი აჭარაში უამინდობით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ჩატარებულ სამუშაოებს პირადად გაეცნო

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, შინაგან საქმეთა მინისტრმა ქობულეთის რაიონში მანდარინის ჩამბარებელი პუნქტი მოინახულა, სადაც ამ დროისთვის ციტრუსის ჩაბარება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ალექსანდრე ჭიკაიძე ასევე მაღალმთიანი აჭარის სოფლებს ეწვია და გზების გაწმენდითი სამუშაოები პირადად დაათვალიერა. ამჟამად აჭარის რეგიონში ყველა გზა გაწმენდილია და საგზაო მოძრაობა თავისუფალია, შესაბამისად, ჩამბარებელ პუნქტამდე ციტრუსის გადატანა შეუფერხებლად მოხდება. მინისტრი რეგიონში ვიზიტის დროს ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და გაესაუბრა.

ლევან ვეფხვაძე „ქართულ ოცნებას“ დავით ნარმანიას თანამდებობიდან მოხსნისკენ მოუწოდებს

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე „ქართულ ოცნებას“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას თანამდებობიდან მოხსნისკენ მოუწოდებს. ლევან ვეფხვაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის კოდექსის თავდაპირველი ვარიანტის დიდი ნაწილი შეცვლილია, კანონპროექტის ავტორმა დავით ნარმანიამ პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს.

„იმ კანონპროექტის 80 პროცენტი, რომელიც რეგიონული განვითარების სამინისტრომ შეიტანა, დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს. კოდექსი დაიჩეხა და შეიცვალა, ეს ბუნებრივიც იყო. თავის დროზე „ქართული ოცნებისა“ და პოლიტიკოსების დიდი ნაწილი, საზოგადოება, ეკლესია, ეწინააღმდეგებოდა კოდექსს და ამბობდა, რომ ეს კოდექსი ქვეყნის დამანგრეველი იყო. დღეს ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ ამაზე პასუხისმგებლობა ვიღაცამ უნდა აიღოს. ეს ვიღაც კი ნარმანიაა. იგი დღეს კვლავ მინისტრია და ცუდია, რომ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს, რადგან მინისტრის მიერ მომზადებული კანონპროექტის 80 პროცენტი აღარ არსებობს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვითმმართველობის რეფორმა იმ სახით, რა სახითაც ნარმანიამ შემოგვთავაზა, ჩავარდა. ერთადერთი მე-7 კარის ორი მუხლი დღეს მხოლოდ იმიტომ არის დარჩენილი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავის მერობის კანდიდატს ნამუსი მოწმინდოს. „მოვუწოდებ „ქართულ ოცნებას“, გაადააყენონ მინისტრი და ასევე, შეცვალონ მერობის კანდიდატი. ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს გვყავდნენ მინისტრები, რომლებიც პასუხისმგებლობას ვერ გრძნობდნენ. იმედი გვაქვს, ამ მთავრობაში იქნებიან მინისტრები, რომლებიც საკუთარ შეცდომებზე პასუხისმგებლობას აიღებენ,“ - განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

ჰეიგელი: ამერიკა ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებას განაგრძობს

ჟენევაში ირანთან მიღწეული ბირთვული შეთანხმების მიუხედავად, ამერიკა ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებაზე უარს არ იტყვის, - ამის შესახებ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა თავის რუს კოლეგა სერგეი შოიგუს ტელეკონფერენციის დროს განუცხადა. პენტაგონის წარმომადგენელ კარლ ბუგის თქმით, 16 დეკემბერს გამართული ტელეკონფერენციის დროს მინისტრებმა ისეთი საკითხები განიხილეს, როგორებიც არის «სირია, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგება, კიბერუსაფრთხოება.“

ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე საუბრისას ჰეიგელმა აღნიშნა, რომ ამ სფეროში ამერიკისა და ნატოს მისწრაფება «რუსეთისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს.“ ცოტა ხნის წინ, ჟენევაში ირანთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თითქმის ერთხმად განაცხადეს, რომ ამ სისტემის ევროპაში განლაგება უკვე საჭირო აღარ იქნება.

ამერიკის სასამართლომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა „არაკონსტიტუციურად“ გამოაცხადა

ამერიკის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სატელეფონო საუბრების მასობრივი მოსმენა, რასაც ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ახორციელებდა, არაკონსტიტუციური ქმდებაა. მოსამართლე რიჩარდ ლეონის განცხადებით, სააგენტოს პრაქტიკა მოქალაქეების პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევას ნიშნავს. სააგენტოს საიდუმლო პროგრამის შესახებ საჯაროდ პირველად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედუარდ სნოუდენისგან გახდა ცნობილი. სნოუდენს დროებითი თავშესაფრი რუსეთმა აგვისტოში მიანიჭა. ცოტა ხნის წინ თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ ამერიკა კვლავ ცდილობს, რაც შეიძლება მალე მოხდეს სნოუდენის სამშობლოში დაბრუნება: «მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ამერიკაში, სადაც სასამართლოს წინაშე ყველა პროცედურის დაცვით წარდგება,“ - აღნიშნა კარნიმ.

ევროკავშირ-თურქეთის ურთიერთობა შესაძლოა, კვლავ შეფერხდეს

«EUobserver“-ის ცნობით, 16 დეკემბერს ევროკავშირის კომისარმა სესილია მალმსტრომმა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეთ დავითოღლუმ მიგრანტების შესახებ ახალ პაქტს მოაწერეს ხელი, თუმცა ეს ურთიერთობა მომდევნო წლიდან შესაძლოა, კვლავ ძველ ტემპს დაუბრუნდეს. თურქეთის პრემიერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ახალი შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ აღნიშნა, რომ «თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში ახალი პროცესი იწყება.“ სესილია მალმსტრომის თქმით კი: «ამ ურთიერთობაში ახალი ნაბიჯი გადაიდგა.“ სამ წელიწადზე გრძელი პაუზის შემდეგ თურქეთმა და ევროკავშირმა გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები ერთი თვის წინ განაახლეს. მომავალი წლის იანვარში ერდოღანი ბრიუსელში ვიზიტს გეგმავს, თებერვალში კი თურქეთს საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ეწვევა. თუმცა, 2014 წელს დაგეგმილ ევროკავშირის საპარლამენტო არჩევნებიდან და თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნებიდან გამომდინარე, 16 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმება შესაძლოა, 2015 წლამდე ბოლო წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდეს. «ჯერ კვლავ მყიფე ვითარებაა. თურქეთს წინ არჩევნები ელის და უმთავრესად შიდა საქმეებზე იქნება ორიენტირებული. ასევე იქნება ევროკავშირიც. 2014 წელს ევროკავშირსა და თურქეთს შორის მნიშვნელოვანი შეთანხმება არ მოხდება,“ - აღნიშნა «EUobserver“-თან საუბრისას ევროკავშირის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კორუფციის საქმის გამო დააკავეს

AFP-ს ინფორმაციით, საფრანგეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კლოდ გეანი კორუფციის საქმის გამოძიების ჩარჩოებში დააკავეს. იგი მინისტრობამდე ოთხი წლის განმავლობაში საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა. სააგენტოს ინფორმაციით, ასევე დაკავებულია ეროვნული პოლიციის ყოფილი გენერალური დირექტორი მიშელ გოდენი. ივნისის დასაწყისში პარიზის პროკურატურამ წინასწარი გამოძიება დაიწყო იმ მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ, სადაც საუბარი იყო, რომ გეანი 2002-2004 წლებში პოლიციის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად, დაახლოებით, 10 000 ევროს იღებდა.

ჯონ კერი მანილაში ჩადის

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი სამშაბათს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ჩავა. ორდღიანი ვიზიტის დროს კერი მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდება. მანამდე კერი ვიეტნამში იმყოფებოდა. კერი ქვეყნის ხელიუფლებასთან, სავარუდოდ, საზღვაო უსაფრთხოების შესახებაც ისაუბრებს - ფილიპინები ტერიტორიულ პრეტენზიას სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე აცხადებს. ფილიპინებში ვიზიტისას სახელმწიფო მდივანი ცენტრალური ფილიპინების იმ რეგიონს მოინახულებს, რომელიც გასულ თვეში ძლიერმა ტაიფუნმა „ჰაიანმა“ ყველაზე მეტად დააზარალა. ტაიფუნი ქვეყანას 8 ნოემბერს დაატყდა თავს და 6000-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ევროკავშირში უკრაინას ისევ ეპატიჟებიან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინ კი მოსკოვში გაიმართა რუსეთ-უკრაინის სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომა და პრეზიდენტების შეხვედრაც, სადაც რამდენიმე საკითხი გაირკვა, მათ შორის მთავარია უკრაინისთვის გაზის ფასის ერთი მესამედით დაკლება, ოღონდ დროებით. ევროინტეგრაციის მომხრეებს ხელისუფლების მხრიდან მორიგი ღალატის მაინც ეშინოდათ, მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო კავშირთან მიერთების საკითხი ოფიციალურ დღის წესრიგში არ იდგა.

პროევროპული კურსის მომხრეებმა შაბათს და კვირას კიევის ცენტრი ისევ გაავსეს. სხვადასხვა შეფასებებით, დამოუკიდებლობის მოედანზე რამდენიმე ათეული ათასიდან რამდენიმე ასეულ ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. კვირას ისევ გაიმართა „სახალხო ვეჩე“. შემდეგი სახალხო კრება კი გუშინ, 17 დეკემბერს ჩატარდა. გუშინდელი აქციის მიზანი იყო მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებებზე „ოპერატიული რეაგირება“ საჭიროების შემთხვევაში.

შაბათს «ევრომაიდანზე» მიღებული რეზოლუციით ხალხმა პრეზიდენტ იანუკოვიჩს რუსეთთან საიდუმლო გარიგება და საბაჟო კავშირში შესვლის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა აუკრძალა. ხალხი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს არ აქვს უფლება, ერს ევროპული მომავალი წაართვას (ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით გადაუვადოს). ამას გარდა, რეზოლუციის თანახმად, ხალხი მოითხოვს პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, იულია ტიმოშენკოს ჩათვლით. შაბათ-კვირის მიტინგებზე თვალშისაცემი იყო დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან აშკარად გამოხატული მხარდაჭერა, რის გამოც რუსეთი გაღიზიანებას ვერ მალავს. ნარინჯისფერი რევოლუციის პერიოდისგან განსხვავებით, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო რუსი პოლიტიკოსები (ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია) უკრაინის შიდა პროცესებში უშუალოდ ვერ ერევიან. ამიტომ ბუნებრივია მათი რეაქცია დასავლეთის აქტიურობის გამო. ბოლო დღეებში დამოუკიდებლობის მოედანზე კარავი დადგეს პოლონეთის სეიმის დეპუტატებმა. კიევში ჩავიდნენ, მიტინგზე სიტყვითაც გამოვიდნენ და იანუკოვიჩსაც შეხვდნენ ამერიკელი სენატორები: რესპუბლიკელი ჯონ მაკკეინი და დემოკრატი კრის მერფი. ორივემ ღიად და აქტიურად დაუჭირა მხარი მოედანზე შეკრებილებს და უკრაინის პროევროპულ კურსს. მაკკეინი თავისი თანმიმდევრული, პირდაპირი და რადიკალური პოზიციის გამო მომიტინგეებმა განსაკუთრებით თბილად მიიღეს. შემდეგ სენატორები პრეზიდენტ იანუკოვიჩს შეხვდნენ. მას კიდევ ერთხელ მოუწოდეს, ხალხის ფუნდამენტურ უფლებებს პატივი სცეს და მათი მისწრაფებები გაიზიაროს.

ევროინტეგრაციის მომხრეების გარდა, იქვე ახლოს, ჯერ ევროპის მოედანზე, შემდეგ კი „მარინსკი პარკში“ იანუკოვიჩის მომხრეთა მრავალათასიანი აქცია დაიწყო. ამ ორ აქციაში მონაწილეთა რაოდენობის შედარება ცოტა უხერხულია, თუმცა ეს უკანასკნელებიც ცდილობენ თავისი პოზიციის დაფიქსირებას. ხელისუფლების მომხრეთა აქცია-კონცერტზე უმრავლესობა ყირიმიდან და უკრაინის აღმოსავლეთიდან იყვნენ ჩასულები. მათ განაცხადეს, რომ საკუთარი სურვილით ჩამოვიდნენ და მათთვის ფული არავის გადაუხდია. თუმცა წინა დღეებში „რეგიონების პარტია» დონბასში მეშახტეების მობილიზაციას აწარმოებდა. «ანტიმაიდანის» მონაწილეებს თან ჰქონდათ პლაკატები წარწერით „ევრომაიდანი უკრაინა არ არის!“ და „ფაშიზმი არ გავა!“ მცირე გაუგებრობები მაინც მოხდა. მაგალითად, ამ აქციაზე ყალბმა „პესნიარებმა“ იმღერეს (რომლებიც არა მინსკიდან, არამედ რუსეთის ერთ-ერთი ქალაქიდან ჩავიდნენ). მეორე დღეს უცნობმა პირებმა საკუთარ სახლთან სცემეს ცნობილ უკრაინელ ჟურნალისტს იური კოტის, რომელსაც „ანტიმაიდანზე“ მიტინგი და კონცერტი მიჰყავდა.

უკრაინის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კი სიტყვიერ დონეზე თითქოს ეჭვქვეშ არ დგას. პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი ამტკიცებს, რომ უკრაინა სტრატეგიული კურსის შესახებ საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ეს კურსი ევროპული ინტეგრაციაა. მისი ასეთი განცხადება აშკარად პასუხი იყო გაფართოების საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფიულეს ჩანაწერზე „ტვიტერში“. ფიულეს სიტყვებით, ევროკავშირმა უკრაინასთან მოლაპარაკებები ამ სახელმწიფოს ხელისუფლების ჩამოუყალიბებელი პოზიციის გამო შეაჩერა. უკრაინის ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროკავშირისგან პირველი პირების ოფიციალურ განცხადებებს დაელოდება.

უკვე ორშაბათსვე ამ განცხადებებმაც არ დააყოვნა. ბრიუსელში ზემოხსენებული სხდომის წინაც და შემდეგაც ევროკავშირის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ისევე როგორც უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონმა, მედიასთან ვრცლად ილაპარაკეს უკრაინის თემაზე. საერთო პათოსი უცვლელი იყო - უკრაინისთვის ევროკავშირის კარი ისევ ღიაა. განცხადებები გაკეთეს გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა - ვესტერველემ, ჰეიგმა და ბილდტმა. ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანს ტიმერმანსმა „ტვიტერში“ გაკეთებული ჩანაწერისთვის შტეფან ფიულეც გააკრიტიკა. ტიმერმანსის სიტყვებით, სოციალური ქსელი პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად საუკეთესო ადგილი არ არის. გვიდო ვესტერველემ იმედი გამოთქვა, რომ უკრაინა მაინც მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას, კარლ ბილდტმა კი დასძინა, რომ ევროპა თუნდ ხვალ მოაწერს ხელს უკრაინასთან ხელშეკრულებას, თუ კიევისგან მკაფიო ნება იქნება. მან ისიც დაუფარავად თქვა, რომ «ყველაფერი, რაზეც უკრაინელები ახლა ლაპარაკობენ, განსხვავდება იმისგან, თუ რას იტყვიან ხვალ და ის, რასაც ისინი ერთ მხარეს ეუბნებიან, განსხვავდება იმისგან, რასაც სხვებთან ამბობენ». უილიამ ჰეიგმა აღიარა, რომ ამ თემამ ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობები დაძაბა, თუმცა ფულით შეჯიბრი არ გაიმართება, რადგან უკრაინის წინსვლა რუსეთის ინტერესებშიც შედის. კეტრინ ეშტონის სიტყვებით, მას პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უშუალო შეხვედრისას აუხსნა, თუ რა მოკლევადიანი პრობლემები ეღობება წინ უკრაინის ევროინტეგრაციას და ყველა ეს პრობლემა, ეშტონის აზრით, მოგვარებადია.

დავუბრუნდეთ ისევ პრემიერ აზაროვს, მის პოზიციას და აწ უკვე მყიფე მდგომარეობას. აზაროვმა უკრაინა-რუსეთის მოლაპარაკებების დაწყებამდე, ორშაბათს განაცხადა, რომ არანაირი საიდუმლო შეთანხმება არ მზადდება, სამთავრობათაშორისო კომისიის დღის წესრიგი ცნობილია და აქ ყველაფერი გამჭვირვალეა. მოსკოვში საბაჟო კავშირთან მიერთების საკითხის განხილვაც კი არ იყო დაგეგმილი. არავუინ მალავდა, რომ მოლაპარაკებებზე მთავარი თემა გაზის ფასი იქნებოდა. აზაროვი ამტკიცებს, რომ უკრაინა არანაირ განსაკუთრებულ შეღავათს არ მოითხოვს - უბრალოდ, ნორმალურ, ევროპულ ფასში სურს ბუნებრივი აირის ყიდვა და იმედი გამოთქვა, რომ ეს საკითხი 17-ში პრეზიდენტების შეხვედრისას მოგვარდება.

უკრაინის პრემიერის სიტყვები გუშინ, ფაქტობრივად, დადასტურდა. უმაღლეს დონეზე, დაახლოებით, ერთდღიანი რთული მოლაპარაკებების შემდეგ გამოცხადდა, რომ გაზის ფასი უკრაინისთვის, დაახლოებით, ერთი მესამედით - 400-დან 268 დოლარამდე დაიკლებს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება დროებითია, თუმცა არ დაუზუსტებია, რამდენ ხანს იმოქმედებს. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამთავრობათაშორისო კომისიამ, უფრო ზუსტად კი, რუსულმა «გაზპრომმა» და უკრაინულმა «ნაფტოგაზმა». ეს არის დამატება გაზის მიწოდებისა და ტრანსპორტირების 10-წლიან ხელშეკრულებაზე, რომელიც ტიმოშენკო-პუტინის შეთანხმების შემდეგ, 2010 წლიდან მოქმედებს და რომლისთვისაც ტიმოშენკო უკრაინაში ციხეში ჩასვეს.

გაზის საკითხის გარდა, მხარები შეთანხმდნენ, რომ რუსეთი თავისი ეროვნული კეთილდღეობის ფონდიდან უკრაინის ფასიან ქაღალდებში 15 მილიარდ დოლარს ჩადებს. მანამდე ევროკავშირთან მოლაპარაკებებისას უკრაინა აცხადებდა, რომ ეკონომიკის სტაბილურობის შესანარჩუნებლად 20-30 მილიარდი ევრო სჭირდება. პრეზიდენტმა პუტინმა ამას გარდა განაცხადა, რომ საბაჟო კავშირში უკრაინის გაწევრიანების საკითხი სამშაბათს გამართულ მოლაპარაკებებზე არ განხილულა.

რუსეთის და უკრაინის სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომაზე ხელი მოეწერა აგრეთვე დოკუმენტებს ნარკოტრაფიკთან ბრძოლის, აგრეთვე კოსმოსურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ. პრეზიდენტ პუტინის სიტყვებით, რუსეთის მხარე უკრაინის თავდაცვითი მრეწველობის ქარხნების საკუთარი საჭიროებისთვის გამოყენების შესაძლებლობას შეისწავლის.

ოპოზიციას მთავრობის გადაყენება რადაში პირველ ცდაზე, დეკემბრის დასაწყიში არ გამოუვიდა. მას მერე პარლამენტის სხდომა არც გამართულა ოპოზიციის აქტიური ბოიკოტის გამო. 16 დეკემბერს გაირკვა, რომ მთავრობის მნიშვნელოვან განახლებას თვით პრეზიდენტი და მმართველი „რეგიონების პარტია“ გეგმავს, თუმცა ამ ეტაპზე ისინი აზაროვის გათავისუფლებას არ აპირებენ. ხელისუფლებას სურს, თანამდებობიდან, პირველ რიგში, ის მინისტრები გაუშვას, რომლებიც ევროინტეგრაციაზე აგებდნენ პასუხს და ხელისუფლება შესაძლო რისკების შესახებ საქმის კურსში დროზე არ ჩააყენეს. ამ ეტაპზე საუბარია ეკონომიკური განვითარების და ვაჭრობის მინისტრ იგორ პრასოლოვზე, სამრეწველო პოლიტიკის მინისტრ მიხაილ კოროლენკოსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ლეონიდ კოჟარაზე. მათ მალე ალბათ სხვებიც მიჰყვებიან უკან. „რეგიონების პარტიას“ კაბინეტის 90 პროცენტით განახლება სურს.

თუმცა პრემიერმა აზაროვმა შეიძლება სავარძელი მაინც დაკარგოს მის წინააღმდეგ რადას უმრავლესობის წასვლის გამო. საქმე ის არის, რომ ოპოზიციას ამ საკითხში დახმარება აღუთქვა კომპარტიამ, რომელმაც ორი კვირის წინ მთავრობის გადაყენებას მხარი არ დაუჭირა. კომპარტია თანახმაა, ამჯერად ხმა მისცეს აზაროვის მთავრობის გადაყენებას, თუ ოპოზიცია პარლამენტის დადგენილების მათეულ პროექტს დაუჭერს მხარს. უკვე შეგროვებულია 200 დეპუტატის ხელმოწერა (საკითხის კენჭისყრით გადასაწყვეტად 226 ხმაა საჭირო). პროდასავლური ოპოზიციისთვის კი სულერთია, რა „ტექსტით“ გადააყენებენ მთავრობას და ისინი ყველაფერზე თანახმა არიან. ანუ ოპოზიციას შეიძლება, სულ რამდენიმე ხმაღა აკლია. თუ ამას აზაროვის მიერ პარასკევს მრგვალი მაგიდის ფარგლებში იაცენიუკთან კამათისას ნათქვამ სიტყვებს დავუმატებთ (შესაძლო გადადგომის შესახებ), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზაროვი «წასვლისთვის» «ფსიქოლოგიურად» მზად არის.

ბრიუსელში კი მოლაპარაკებებს, ოფიციალური კიევის გარდა, უკრაინელი ოპოზიციონერებიც მართავენ. კერძოდ, იქ იმყოფება მეწარმე და უმაღლესი რადას დეპუტატი, ყოფილი ვიცე-პრემიერი პიოტრ პოროშენკო. ევროკავშირის პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეისთან შეხვედრის შემდეგ პოროშენკომ განაცხადა, რომ 19-20 დეკემბერს ევროკავშირის სამიტზე უკრაინის საკითხი ისევ დღის წესრიგში იქნება.

ᲚᲝᲛᲘᲡ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შარშან პიტერ ო'ტულის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავ წვეულებაზე მსახიობმა განაცხადა, რომ კარიერას ოფიციალურად ამთავრდებდა და რომ ამიერიდან სრულ სიმშვიდესა და ოჯახის წევრების გარემოცვაში იცხოვრებდა. „კინოსადმი ინტერესმა ჩემი გული დატოვა და, ვფიქრობ, აღარასდროს დამიბრუნდება. ჩემმა კარიერამ საყოველთაო აღიარება, ემოციური მუხტი და ყოფითი კომფორტი მომიტანა. გამაცნო უამრავი არაჩვეულებრივი ადამიანი, შემძინა კარგი მეგობრები, ვისთან ერთადაც ბევრი აღმაფრენა და დაცემა, სიხარული და იმედგაცრუება განვიცადე. მიმაჩნია, რომ ახლა ჩემი წასვლის დროა“, - ასეთი იყო მსახიობის ოფიციალური განცხადება.

მართლაც, ბოლო დროს ბრიტანელ მსახიობს ახალი კონტრაქტი აღარ გაუფორმებია, ამრიგად ნებისმიერ შემთხვევაში მისი ვრცელი სამსახიობო კარიერის უკანასკნელი ფილმი ალისტერ გრირსონის „მარიამი“ იქნებოდა, იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ გადაღებული ფილმი, რომელშიც 80 წლის მსახიობმა ბიბლიური სიმონის როლი შეასრულა. „მარიამი“ 2014 წელს გამოვა, მანამდე კი პიტერ ო'ტულის კიდევ ერთი ბოლო ფილმის, დიდმოწამე ეკატერინეს შესახებ გადაღებული „ეკატერინე ალექსანდრიელის“ გაქირავებაა დაგეგმილი.

არ აქვს მნიშვნელობა, როგორი ხარისხისა და მნიშვნელობის იქნება ეს ფილმები - პიტერ ო'ტული ნებისმიერ შემთხვევაში სამუდამოდ დარჩება დიდ მსახიობად, რომელმაც მსოფლიო კინოს, სულ მცირე, რვა საუკეთესო როლი დაუტოვა. მსახიობს „ოსკარის“ სწორედ ამდენი ნომინაცია ჰქონდა და რვავე მამაკაცის მთავარი როლის შესრულებისთვის.

პირველი კინოროლი 1960 წელს შეასრულა, ორი წლის შემდეგ კი საკუთარი ლეგენდის შექმნა დაიწყო. სწორედ 1962 წელს გამოვიდა ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო, დევიდ ლინის „არაბეთის ლორენსი“, რომელმაც 7 „ოსკარი“ დაიმსახურა, მსახიობს კი პირველი ნომინაცია მოუტანა (იმ წელს ჯილდო გრეგორი პეკმა მიიღო „ნუ მოკლავ ჯაფარაში“ შესრულებული როლისთვის). შემდეგი ნომინაცია პიტერ ო'ტულს 1965 წელს პიტერ გლენვილის „ბეკეტში“ თამაშმა მოუტანა, ხოლო 1969 წლის ნომინაცია დიდებულმა დრამამ „ლომი ზამთარში“ - ფილმმა, რომელმაც სამი „ოსკარის მოპოვება შეძლო, ერთ-ერთი კი კეტლინ ჰეპბერნის მესამე იყო (სხვათა შორის, ამ ფილმშიც და „ბეკეტშიც“ ო'ტული ბრიტანეთის მეფე ჰენრი მეორეს თამაშობდა).

უკანასკნელი ნომინაცია პიტერ ო'ტულს 2007 წელს, საპატიო „ოსკარის“ მიღების შემდეგ ჰქონდა (ფილმისთვის „ვენერა“). მსახიობს ამჯერადაც არ გაუმართლა, რადგან სწორედ ამ წელს ფორესტ უიტეკერს „შოტლანდიის უკანასკნელ მეფეში“ საოცარი პერსონაჟი ჰყავდა შექმნილი. „ოსკარზე“ მარადიული წარუმატებლობის პარალელურად მსახიობს ოთხი „ოქროს გლობუსი“ აქვს მოპოვებული, თუმცა ყველა კარიერის დასაწყისში.

პიტერ ო'ტულს დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემია ჰქონდა დამთავრებული, წლების განმავლობაში თეატრში მუშაობდა, თუმცა გარეგნობის წყალობით მალე კინოში გადაბარგდა. წარმატებულმა კარიერამ მის პირად ცხოვრებაზეც იქონია გავლენა - 70-იან წლებში მსახიობი ალკოჰოლიკად ჩამოყალიბდა, რის გამოც ორგანიზმი დაუავადდა და კინაღამ კინოსაც გამოემშვიდობა და სიცოცხლესაც. თუმცა მსახიობმა ყველა დაავადებასთან მოხერხა გამკლავება და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

პიტერ ო'ტული ლონდონში, საავადმყოფოში გადაყვანიდან ორ დღეში გარდაიცვალა.

ერთი დღის შემდეგ კი ჰოლივუდი 96 წლის ჯოან ფონტეინს დაემშვიდობა, მსახიობს, რომელმაც სახელი ალფრედ ჰიჩკოკის ორ ფილმში მონაწილეობით გაითქვა. სწორედ ჯოან ფონტეინი უწევს პარტნიორობას ლოურენს ოლივიეს ჰიჩკოკის „რებეკაში“, ხოლო კერი გრანტთან ერთად „ეჭვში“ თამაშისთვის მსახიობმა „ოსკარიც“ დაიმსახურა.

ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓ „ᲐᲕᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ„ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

2013 წლის 18 დეკემბერს 20:00 საათზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხელოვნების ხელშეწყობის ფონდ ავტოგრაფის“ პრეზენტაცია გაიმართება.

ფონდი ავტოგრაფი“ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ხელოვანების შემოქმედების ხელშეწყობის მიზნით დაფუძნდა. ფონდის ძირითადი საქმიანობა კომპოზიტორების შემოქმედებითი და საავტორო საღამოების ჩატარება, კონცერტებისა და წარმოდგენების ორგანიზება, წიგნებისა და ალბომების გამოცემა, გამოფენების მოწყობა, CD და DVD ალბომების გამოშვება, ვიდეო რგოლების დამზადება და საზოგადოებისთვის საინტერესო სხვა პროექტების განხორციელება იქნება. ფონდი, ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, მუდმივად ითანამშრომლებს მსგავსი ტიპის სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ფონდებთან და მონაწილეობას მიიღებს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესებში.

პრეზენტაციაზე ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ოთარ თაქთაქიშვილისა და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა ქართველი კომპოზიტორების უნიკალური ხელნაწერი ნოტების გამოფენა გაიმართება, მათი ნაწარმოებები ცოცხლად შესრულდება. საღამოს სტუმრებს გადაეცემათ ამ ნაწარმოებების აუდიო CD და ასევე საინფორმაციო ბროშურები ფონდის შესახებ.

პრეზენტაციას ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მოღვაწეები, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები დაესწრებიან. **24 საათი**

ჭაბუა ამირეჯიბი - ბერი დავითი

2013 წლის 13 დეკემბერს, გამთენიისას, გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე, XX საუკუნის ქართული პროზის კლასიკოსი ჭაბუა (მზეჭაბუკ) ირაკლის ძე ამირეჯიბი - ბერი დავითი.

ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა სამშობლო ქვეყნის ჭეშმარიტი მოზარე და ჭირისუფალი.

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება სამშობლოს უებრო მსახურების ერთი უბადლო მაგლითია, სამშობლოსი, რომელსაც შესწირა ყველაფერი - საკუთარი ახალგაზრდობა, ოცნებები და ზმანებანი, დაუფიქრებლად შესწირა გმირი ვაჟიშვილი, რადგანაც იცოდა: ერთადერთი ჭეშმარიტება, ყველაზე დიდი და ყოვლისმომცველი ჭეშმარიტება სამშობლოა - სულზე უტკბესი და უნეტარესი ჭეშმარიტება და მხოლოდ მისთვის ღირს სიცოცხლეცა და სიკვდილიც.

ბატონი ჭაბუა ჭეშმარიტად ამართლებდა ამირეჯიბთა საგვარეულო გერბზე გამოსახულ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს - სიმბოლოს რომ წარმოადგენს სამშობლოსათვის, სარწმუნოებისათვის მოწამებრივი თავგანწირვისა...

ამ თავგანწირვის საუცხოო ნიმუშია ჭაბუა ამირეჯიბის სწორუპოვარი პროზა, რომელიც მკითხველს მასშტაბურობითა და, შეიძლება ითქვას, ბიბლიური სიბრძნით ხიბლავს...

ჭაბუა ამირეჯიბი დაიბადა 1921 წლის 18 ნოემბერს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ამიერკავკასიის ელექტროტექნიკუმის რადიოფაკულტეტზე და მიიღო სამხედრო რადიოტექნიკოსის წოდება.

1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად. 1941 წლის 23 ივნისს ჭაბუა ამირეჯიბი მობილიზაციით გაიწვიეს არმიის რიგებში. 1942 წელს დაბრუნდა სამშობლოში და განაგრძო სწავლა. ამ დროისათვის შეიქმნა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია "თეთრი გიორგი", რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც ბატონი ჭაბუა იყო. 1943 წელს იგი დაეპატიმრეს შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით და მიუსაჯეს 25 წლით პატიმრობა. სასჯელი რამდენჯერმე შეუცვალეს, ორჯერ დახვრეტაც კი ჰქონდა მისჯილი. საერთო ჯამში მისმა სასჯელმა 83 წელი შეადგინა. პატიმრობის დროს მონაწილეობდა ყარაგანდისა და ტაიმირის პოლიტპატიმართა აჯანყებებში. თითქმის ორი ათეული წელი გაატარა ყარაგანდის, კოლიმის, მორდოვეთის, ტაიმირის ნახევარკუნძულის, აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბანაკებში. იყო ტყის მჭრელი, ჩრდილოეთ ოსეთის სატყეო კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი, ბელორუსიის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ტყის გადამუშავებელი კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი...

ჭაბუა ამირეჯიბი გადასახლებიდან 1959 წელს დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობასი. სხვადასხვა დროს იგი იყო საქართველო - აშშ ერთობლივი საწარმოს "ამსაქფილმის" დამაარსებელი და დირექტორი, ალმანახ "კინოს" დამაარსებელი და დირექტორი, საქართველოს სახკინოს სარეკლამო საინფორმაციო ბიუროს დამაარსებელი და დირექტორი, კინოსტუდია "ქართული ფილმის" მეორე გაერთიანების დირექტორი, კინოსტუდია "მემატიანეს" დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ კი პარლამენტის წევრი, საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე, ქართულ სულიერ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია "ივერიის" და გაზეთ "ახალი ივერიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე, ქართული პენ-ცენტრის პრეზიდენტი...

სადაც კი იმუშავა ამ დიდმა მწერალმა და ერისკაცმა, ყველგან ღრმა კვალი გაავლო, ყველაფერს თავისი ტვიფარი დაამჩნია პროფესიონალიზმისა, სისპეტაკისა, კეთილშობილებისა და სათნოებისა...

ჭაბუა ამირეჯიბის სამწერლო დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ "მნათობში" გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა "რატომ არ დამაცადე". ასე დაიწყო დიდი შემოქმედის ლიტერატურული ცხოვრება, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა და მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა ქართული გენის ნიჭიერებისა და უკვდავების შესახებ.

ჭაბუა ამირეჯიბმა არამარტო გაამდიდრა ქართული მწერლობა, არამედ განვითარების ახალ საფეხურზეც აიყვანა. სწორედ ამის დასტურია მარადიული წიგნი-რომანი "დათა თუთაშხია", საყოველთაოსახალხო სიყვარული რომ ხვდა წილად. "დათა თუთაშხია" საგაა ქართველი კაცის ვაჟკაცობის, ჭირთა თმენის ნიჭზე, საქართველოს უკვდავებაზე. ამ მრავალპლანიან, კომპოზიციურად მართლაც რომ დიდოსტატურად შეკრულ რომანში ურთულესი ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემატიკაა განხილული. დათა, რომანის მთავარი გმირი, სიკეთისა და სამართლიანობის მარადმღვიძარე რაინდი საკუთარი სულიერი, ზნეობრივი მოთხოვნილებების ხორცშესხმად მიიჩნიეს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

დიდი მოწონება ხვდა წილად მწერალის მეორე რომან "გორა მბორგალს", უაღრესად რთულსა და ტევად ნაწარმოებს, რომელიც საბრალდებო დასკვნას წარმოადგენს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმებისა. ამ რომანში მწერალმა დიდოსტატურად გვიჩვენა საბჭოთა იმპერიის შემზარავი არსი, გააშიშვლა მისი ნამდვილი სახე...

"დათა თუთაშხია" და "გორა მბორგალი" ქართველი ხალხის ზნეკეთილობის, მისი სულიერი სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა და ასე შემოაბიჯა XXI საუკუნეში. დათა და გორა საოცარი ძალით ავსებენ ერთმანეთს და ქართველ ერს სულიერების პრიმატის ქადაგებისკენ მოუწოდებენ. ძლიერი სული, ძლიერი ადამიანები, ძლიერი ერი ქვეყნის განუყოფლობის, მისი ერთობის, გონიერებისა და ქედუხრელობის საფუძველია. ეს ის ტრიადაა, რომელიც ქვეტექსტურად გასდევს ბატონი ჭაბუას მთელ შემოქმედებას.

ბეწვის ხიდზე მავალ სამშობლოს ამ დიდმა შემოქმედმა რომანი "გიორგი ბრწყინვალე" უძღვნა. და მსუყე საღებავებით დაგვიხატა უბრძნესი მეფის მონოლითური სახე, მეფისა, რომლის გამჭრიახობამ, ჭკუამ და მოქნილობამ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალება მისცა ქართველობას...

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება ერთი გაბმული მარტვილობაა და, ალბათ, ამიტომაც სიცოცხლის ბოლო წლებში ბერად აღიკვეცა ქართული პროზის დიდოსტატი და მამა დავითად ქცეული გულმდუღარედ ავედრებდა არსთაგამრიგეს ღვთისშობლის წილხვედრ ქვეყანას.

სამშობლომ საკადრისი პატივი მიაგო თავის დიდ შვილსა და ერისკაცს. ქართული მწერლობის კლასიკოსი დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, ღირსების ორდენით, არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად და თბილისის საპატიო მოქალაქედ, მონიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო (2), სსრკ სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და საბას, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები, ქართული პროზის რაინდისა და საქართველოს სახალხო მწერლის წოდებები. მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯისა და აშშ-ის ბიოგრაფიულ ცნობარებში.

ძნელია, ძალზე რთულია და მტკივნეული ამ დონის შემოქმედთან, ამ დონის მოაზროვნესთან და ერისკაცთან გამოთხოვება და მასზე წარსულ დროში საუბარი. ისღა გვანუგეშებს, რომ ჩვენ მისი თანამედროვენი ვიყავით და მასთან ურთიერთობის ბედნიერება გვქონდა. და რაც მთავარია: იმ მცირედთა შორის, ვისი სახელებითაც შეგვეძლება ასწლეულების შემდეგ თავის მოწონება, უდავოდ საპატიო ადგილს დაიკავებს ჭაბუა ამირეჯიბი და მისი უბადლო შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

გიორგი მარგველაშვილი
ირაკლი ღარიბაშვილი
დავით უსუფაშვილი
ბიძინა ივანიშვილი
გიგი უგულავა
ივანე კიღურაძე
გურამ ოდიშარია
მანანა ბერიკაშვილი
მაყვალა გონაშვილი
რევაზ მიშველაძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ლაშა თაბუკაშვილი
ბაღათერ არაბული
თამაზ ჭილაძე
გურამ დოჩანაშვილი
მამუკა ქაცარავა
დავით მაღრაძე
მერაბ ბერძენიშვილი
ვაჟა აზარაშვილი
გივი თოიძე
გიგა ბათიაშვილი
დავით თედორაძე
თეიმურაზ ლანჩავა
ჯემალ ინჯია
თამაზ ჭილაძე
რეზო ჭეიშვილი
გურამ ბათიაშვილი
ბაჩანა ბრეგვაძე
სოსო სიგუა
ზაალ ბოტკოველი
ვახტანგ ჯავახაძე
რეზო ამაშუკელი
ბესიკ ხარანაული
ლია სტურუა
გოგი ხარაბაძე
რეზო ჩხეიძე
ელდარ შენგელაია
ზურაბ ნიჟარაძე
თენგიზ არჩვაძე
გოგი ქავთარაძე
დალი ფანჯიკიძე
პაატა ბურჭულაძე
დავით შემოქმედი
გივი ბერიკაშვილი
კახი კავსაძე
მერაბ კოკოჩაშვილი
ლანა ღოღობერიძე
გიორგი შენგელაია
ტარიელ ჭანტურია
ტარიელ ქუთათელაძე
ზურაბ ნიჟარაძე
კახა ცაბაძე
ვახტანგ დავითაია
როინ მეტრეველი
მარიკა ლორთქიფანიძე
რობერტ სტურუა
თემურ ჩხეიძე
გურამ ბარნოვი

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027866

შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.12.2013 14:28
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	20.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	18900000-საბარგო ნივთები, სასარაჯო ნაკეთობები, ტომრები და ჩანთები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	18934000-პაკეტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	1500 ცალი
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	36 ლარი
გარანტიის ოდენობა	36 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027816

შემსყიდველი	ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	13.12.2013 19:33
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	20.12.2013 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	33500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	670 ლარი
გარანტიის ოდენობა	335 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027820

შემსყიდველი	სმართ ლოჯიქი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	13.12.2013 19:41
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	20.12.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	38060 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	72700000-კომპიუტერული ქსელის მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	72720000-ფართო ქსელების მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	400 ლარი
გარანტიის ოდენობა	381 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130027817

შემსყიდველი	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	13.12.2013 19:39
წინადადებების მიღება იწყება	18.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	20.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	350 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	71300000-საინჟინრო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	71354300-მომსახურებები საკადასტრო აზომვების სფეროში
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	5 ლარი
გარანტიის ოდენობა	4 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

შვიდკაცა რაგბის გზა რიოსკენ

შვიდკაცა რაგბი რომ ოლიმპიური სახეობაა, ეს უკვე ძველი ამბავია. 2016 წელს რიოში ჩემპიონობისთვის 12 გუნდი იბრძოლებს. არ არის გამორიცხული, მომდევნო თამაშებზე (ტოკიო 2020) მათი რიცხვი 16-მდე გაიზარდოს.

როგორია «რიო 2016"-ის ჭრილში საქართველოს შვიდკაცა ნაკრების პერსპექტივა? ლიცენზიის მოპოვების რა შანსი არსებობს? დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩვენი შვიდკაცა ნაკრები შეიძლება გახდეს პირველი გუნდი, რომელიც ოლიმპიადაზე იასპარეზებს. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს რაგბის კავშირმა სეოკ-ის ხელმძღვანელობისთვის გამართა პრეზენტაცია «გზა რიოსკენ". კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ და ნაკრების მწვრთნელებმა კახა ალანიამ და მალხაზ ურჯუკაშვილმა დეტალურად ისაუბრეს იმაზე, თუ რა ბარიერების გადალახვა იქნება საჭირო მიზნის მისაღწევად.

შეხვედრას ესწრებოდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ვიცე-პრეზიდენტები ნინო სალუქვაძე და მამუკა ხაბარელი, პარლამენტის წევრი შოთა ხაბარელი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე აკა ლოდია.

«შვიდკაცა რაგბი შოტლანდიაში დაარსდა, საქართველოში კი 90-იანი წლების ბოლოს მოიკიდა ფეხი. ნათელი იყო, რომ, ადრე თუ გვიან, ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც მოხვდებოდა, რადგან კარგი საყურებელია და მის მიმართ ინტერესიც უფრო და უფრო იზრდება.

შეგვიძლია თუ არა ოლიმპიადის საგზურის მოპოვება? პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ურთულესი იქნება და შანსიც თეორიულია, მაგრამ სასწაული არაერთხელ მოგვიხდენია და, სწორი მუშაობის შემთხვევაში, შეგვწევს ძალა შეუძლებელიც რეალურად ვაქციოთ. ოლიმპიადაზეც ისეთივე კვოტა რომ ყოფილიყო, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატზეა (24 გუნდი), მაშინ ეს პრეზენტაციაც არ იქნებოდა საჭირო და თვალდახუჭული ვიტყოდით - ჩვენ ბრაზილიაში ვითამაშებთ.

გაისად მოსამზადებელი ეტაპი გვექნება, 2015 წლიდან კი ჩავერთვებით სალიცენზიო ფერხულში. საფრანგეთის, რუსეთის, პორტუგალიის, უკრაინის, ირლანდიის, ბელგიის, პოლონეთის, გერმანიის, რუმინეთის, იტალიისა და ესპანეთის გუნდების სახით, ძლიერი კონკურენტები გვეყოლება. ამჟამად ევროპულ რეიტინგში მეშვიდე ადგილზე ვართ.

ყველამ იცის, რომ არასდროს გვიწუწუნია, მაგრამ თუ შედეგი და, ვთქვათ, ინგლისის ნაკრების დამარცხება გვინდა, ფინანსური შესაძლებლობებიც უნდა გავითვალისწინოთ. ნურავის ეწყინება, მაგრამ ამ ეტაპზე რაგბის, სხვა სათამაშო სახეობებთან შედარებით, ყველაზე მეტი შანსი აქვს მოხვდეს ოლიმპიადაზე. გპირდებით, რომ საამისოდ ძალას არ დავიშურებთ", - აღნიშნა გია ნიჟარაძემ.

«რაგბი მსოფლიოში ისედაც პოპულარულია, მაგრამ მას შემდეგ, რაც შვიდკაცა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევიდა, ბევრ ქვეყანაში ის პრიორიტეტული სახეობა გახდება. იყო ოლიმპიური ოჯახის წევრი, ადვილი არ არის. საქართველოს რაგბის კავშირს მადლობას ვუხდით საინტერესო პრეზენტაციისთვის. ყოველთვის იყო და იქნება საუბარი იმაზე, თუ რატომ არ ვართ ოლიმპიურ თამაშებზე წარმოდგენილი სათამაშო სახეობაში. ბუნებრივია, ამას ბევრი მიზეზი აქვს. გუნდურში ლიცენზიის მოპოვება გაცილებით ძნელია, ვიდრე ინდივიდუალურში. წინა ციკლში წყალბურთზე იყო საუბარი, მაგრამ ვერ მოხერხდა. სეოკ-ი მაქსიმალურად დაეხმარება რაგბის კავშირს", - განაცხადა ლერი ხაბელოვმა.

geonoc.org.ge

ლებრონის დილემა

ზურა თალაკვაძე

კევინ დიურანი და რასელ უესთბრუქი

ლებრონ ჯეიმსი რეგულარულს აკვირდება და „მაიამიმ" ცოტა მერე, მარტისთვის უნდა აკრიფოს. ან მარტამდე მოუმატებს და ზედიზედ 10, 15 ან მეტ თამაშს მოიგებს. ლებრონისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია და ლებრონი სხვა გუნდებს აკვირდება. ძირითადი თემა აპრილიდან იწყება და იქ უკვე ბალასტი თითქმის არ წამოვა. ბალასტი რეგულარულშია და ბალასტი აღმოსავლეთის კონფერენციის ოთხმოცი პროცენტია. „მაიამი" ასრულებს და ლებრონის უბანში ჯერ არ ნერვიულობენ. „მაიამის" 17 მოგება და 6 ვერმოგება მოქმედი ჩემპიონისთვის ნორმალური, ამ ეტაპზე მისაღებია. სხვები საქმეს, საშინაო დავალებას ოდნავ უკეთ აკეთებენ. „ბრუკლინი" ფლეი ოფში შეიძლება გავიდეს. კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდში შეიძლება მოხვდეს „ნიუ იორკიც". თუ იქვე, აპრილის გარჩევებში, მარჩინ გორტატიც („ვაშინგტონი") შევა, აღმოსავლთის კონფერენციის პირველ წრეს არ უნდა უყუროთ. აღმოსავლეთში მომგები ყველაფერს მოიგებს და გამგები ყველაფერს გაიგებს. ლებრონი ელოდება დანარჩენებს და დანარჩენები უმატებენ. ორივე კონფერენციიდან. ლებრონის მთავარი ჩელენჯერები.

1. ინდიანა (20:3)

პოლ ჯორჯის და როი ჰიბერტის აგრესია ჯერ საკმარისია სრული კომფორტისთვის. მოუმატებს დევიდ უესტი და მისტერ უესტის 12-13 ქულა, 6-7 მოხსნა ყოველთვის საჭიროა. უესტის და ლენს სტივენსონის დაცვა დროდადრო ზედმეტად აგრესიული და არასტაბილურია. სტივენსონმა შეიძლება გაუშვას თავისი კაცი, უესტის აწყობილი მუხლები ხანდახან იშლება და მთელ ამ დისონანსს ინდიანას" გუნდური დაცვა და იდეალურად დატანილი ფერები ფარავს. მშვიდად აკეთებს თავის საქმეს ლუის სკოლა და არგენტინელი კლუბის სტაბილიზატორია. ყველაზე გამოცდილი ტიპი, რომელიც ჰიბერტს ბევრს აუხსნის და როის თვალები დაეწმინდება. შარშან, ჯორჯმა ლებრონს აწყენინა. კონფერენციის ფინალში „მაიამიმ" მწვანე მილი ბოლომდე გაიარა და მეშვიდე თამაშში მოკლა ჯორჯი. თუ წელს ყველაფერი ლოგიკურად იქნება, აღმოსავლეთის ფინალში ალბათ ლებრონი და „ინდიანა" დაჯდებიან.

2. ოკლაჰომა (19:4)

რასელ უესთბრუქი საჭირო პერსონაა და მისტერ უესთბრუქი კევინ დიურანს ხელს უშლის. მისტერ უესთბრუქმა ნაკლები სროლით და ნაკლები შეცდომით მეტი ქულის აღება ისწავლა. მისტერ უესთბრუქი ჭრის ნებისმიერ დაცვას და რასი კლასია. თუ დასავლეთის კონფერენციაში ყველა ფავორიტი ჯანმრთელი იქნება, უესთბრუქი და დიურანი „ოკლაჰომას" ბოლომდე გაიყვანენ. უნდა გაიყვანონ. შარშან რასი დაიშალა და დიურანის ფანტაზია „მემფისის" სადიზმმა გადაფარა. წელს „მემფისიც" შეიცვალა. „ოკლაჰომა" ერთხელ იყო ფინალში და იქ ლებრონმა მოაგვარა პრობლემები. „ოკლაჰომა" ფინალისთვის შექმნილი ბანდაა და სერჟ იბაკა უმატებს. უბრალოდ, კუბს არ ჰყავს ცენტრი და იმპოტენტი კენდრიკ პერკინსი იქ ზედმეტია. ნიკ კოლისონი ნაკლები ხელფასით მეტს აკეთებს. კოლისონთან ერთად „ოკლაჰომამ" გააჩერა ბევრი გუნდი. დიურანი ამ სეზონში საუკეთესოა. ალბათ, უფრო სანდო, ვიდრე „მაიამის" დიდი ბიჭი.

3. სან ანტონიო (19:5)

თუ ემანუელ ჯინობილი ემანუელ ჯინობილი იქნება, „სან ანტონიო" დასავლეთის ფინალში შევა. თუ გრეგ პოპოვიჩი გრეგ პოპოვიჩის ტაქტიკით ითამაშებს, „სან ანტონიო" დასავლეთის ფინალში დაჯდება. თუ კავაი ლეონარდის პროგრესი არ გაჩერდება, „სან ანტონიო" დასავლეთის ფინალში ითამაშებს. თუ ბორის დიაო ფანტაზიით და აგრესიით მიხედავს საქმეს, „სან ანტონიო" დასავლეთის ფინალში გავა. თუ ტიაგო სპლიტერი ჯანმრთელი და კონცენტრირებული იქნება, „სან ანტონიო" დასავლეთის ფინალში ითამაშებს. თუ „სან ანტონიო" დასავლეთის ფინალში ითამაშებს, „ოკლაჰომას" პრობლემები ექნება. თუ „სან ანტონიო" დასავლეთის ფინალში ითამაშებს, დიურანი და უესთბრუქი ინერვიულებენ. ყველა შემთხვევაში საინტერესო ფინალი დაიწყება. ალბათ, „სან ანტონიოს" და „ოკლაჰომას" მოუშლიან ნერვებს „კლიპერსი" და „მემფისი". კი, კი, „მემფისი". თუ რენდოლფი და პატარა გასოლი დროულად დაიწყებენ რეალურ თამაშს. თუ „სან ანტონიოს" ღიმილში იქნება ტიმ დანკანის დიდი დოზა, „სან ანტონიო" დასავლეთის ფინალში გავა. ხომ გახსოვთ, არ იცვლება სამი რაღაც - სიკვდილი, გადასახადები და ტიმ დანკანი. და ეს ყველას ახსოვს.

4. პორტლენდი (21:4)

„პორტლენდი" მომწონს. არ შეიძლება არ მოგწონდეს რაულ ლოპესის ვარცხნილობა და ის, რომ ეს დიდი ბიჭი გუნდს გულს აძლევს. ლოპესი მაგარი კაცია. არ შეიძლება არ მოგწონდეს დემიან ლილარდის პირველი ნაბიჯი და „პორტლენდის" პატარა ბიჭის იმპროვიზაცია. ლილარდი უმატებს და ბიჭმა იცის, რომ მალე კრის პოლის ტერიტორიაზე შევა. არ შეიძლება არ მოგწონდეს ლამარკუს ოლდრიჯის მოძრაობა სამწამიანთან და მისტერ ოლდრიჯის მოძრაობა სამწამიანში, როდესაც ის ტიმ დანკანის საუკეთესო იმპროვიზაციას ახდენს. ოლდრიჯი მაგარი ტიპია. არ შეიძლება არ მოგწონდეს ნიკოლა ბატუმის უნივერსალიზმი და ის, რომ ფრანგი კალათბურთით დიდ სიამოვნებას იღებს. ბატუმმა მოიგო ევრობასკეტი და ბატუმი ტონი პარკერთან ახლობლობს. ალბათ, უნდა მოგწონდეს უესლი მეთიუზიც, რომელიც „პორტლენდის" პირველი ხუთეულიდან ყველაზე ცოტას ხმაურობს და მაინც შეუცვლელია. ამ ხუთეულით კლუბი ბევრს გააკეთებს. უბრალოდ, დანარჩენები ვერ ქაჩავენ. და ლიდერები არ უნდა დაიშალონ.

რკინის ლებრონ ჯეიმსი რეგულარულს აკვირდება და „მაიამიმ" ცოტა მერე, მარტისთვის უნდა აკრიფოს. ან მარტამდე მოუმატებს და ზედიზედ 10, 15 ან მეტ თამაშს მოიგებს. ლებრონისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია და ლებრონი სხვა გუნდებს აკვირდება. ძირითადი თემა აპრილიდან იწყება და იქ უკვე ბალასტი თითქმის არ წამოვა. ბალასტი რეგულარულშია და ბალასტი აღმოსავლეთის კონფერენციის ოთხმოცი პროცენტია. „მაიამი" ასრულებს და ლებრონის უბანში ჯერ არ ნერვიულობენ. „მაიამის" 17 მოგება და 6 ვერმოგება მოქმედი ჩემპიონისთვის ნორმალური, ამ ეტაპზე მისაღებია. სხვები საქმეს, საშინაო დავალებას ოდნავ უკეთ აკეთებენ. „ბრუკლინი" ფლეი ოფში შეიძლება გავიდეს. კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდში შეიძლება მოხვდეს „ნიუ იორკიც". თუ იქვე, აპრილის გარჩევებში, მარჩინ გორტატიც („ვაშინგტონი") შევა, აღმოსავლთის კონფერენციის პირველ წრეს არ უნდა უყუროთ. აღმოსავლეთში მომგები ყველაფერს მოიგებს და გამგები ყველაფერს გაიგებს. ლებრონი ელოდება დანარჩენებს და დანარჩენები უმატებენ. ორივე კონფერენციიდან. ლებრონის მთავარი ჩელენჯერები. ოთხი გუნდი და ერთი „მაიამი". უკვე საინტერესოა.

ვიტალი კლიჩკომ WBC ქამარი პოლიტიკაში დატოვა

პირველი გვერდიდან

ოპოზიციური პარტიის „უდარის“ ლიდერმა ვიტალი კლიჩკომ, რომელიც უმაღლეს რადაში ამავე სახელის მქონე ფრაქციას უდგას სათავეში, რინგიდან წასვლა და პოლიტიკაზე კონცენტრირება გადაწყვიტა.

„უკრაინაში პოლიტიკურ ვითარებაზე ვარ სრულიად კონცენტრირებული და ვგრძნობ, რომ სწორედ აქ უფრო ვჭირდები ხალხს. ჩემი ძმა ვლადიმირი გააგრძელებს რინგზე ასპარეზობას, მე კი მას ისევე დავუჭერ მხარს, როგორც ის მიჭერს მხარს ჩემს პოლიტიკურ ბრძოლაში“, - ვიტალი კლიჩკოს სიტყვები მოჰყავს უკრაინულ ინტერნეტ საკრივო გამოცემას boxingnews.com.ua-ს.

ვიტალი კლიჩკომ კარიერის დასრულებაზე ადრეც განაცხადა - ბრიტანელ ლენოქს ლუისთან დაკარგული WBC-ის უმთავრესი ქამრის 2004 წლის დეკემბერში დაბრუნებიდან და შემდგომ უკვე მისი დაცვიდან ცოტა ხანში. ტიტულის დაუფლების შემდეგ ამავე ორგანიზაციამ უკრაინელ მოკრივეს საპატიო ჩემპიონის წოდება მიანიჭა, რომლითაც უკვე რინგთან დამშვიდობებული ოთხი წლის განმავლობაში სარგებლობდა. პენსიაზე გასვლიდან ოთხი წლის შემდეგ ვიტალი კლიჩკომ რინგზე დაბრუნება 2008 წლის ოქტომბერში ნიგერიელ სემ პიტერთან ჩხუბით დაბრუნებით გადაწყვიტა.

დღეს, როგორც კი ვიტალი კლიჩკოს კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება გახდა ცნობილი, კრივის მსოფლიო საბჭომ უკრაინელს დამსახურებული მსოფლიო ჩემპიონის სტატუსი მიანიჭა. ეს სტატუსი სამუდამოა. უფროს კლიჩკოს უახლოეს ხანში საგანგებოდ მოწყობილ ოფიციალურ საზეიმო ცერემონიალზე მიანიჭებენ ამ წოდებას.

„ასეთი მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი WBC-ს და მის პრეზიდენტს ხოსე სულეიმანს. ჩემთვის დიდი პატივი იყო WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის წოდების ტარება. WBC-ს გადაწყვეტილება რინგზე დაბრუნების თეორიულ შესაძლებლობას მაძლევს, მაგრამ, მართალი გითხრათ, მოვლენათა გათვალისწინებით, ეს ვერ წარმომიდგენია“, - აღნიშნავს კლიჩკო.

თავის დროზე კრივის სამყაროში ასეთი წოდება მიანიჭეს სხვადასხვა წონითი კატეგორიის წარმომადგენლებს, მათ შორის, ლენოქს ლუისს, როი ჯონს-უმცროსს, ბერნარდ ჰოპკინსს (საპატიო ჩემპიონი), მიკელ კესლერს, სერხიო გაბრიელ მარტინესს, ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს, კონსტანტინ ცზიუს, მენი პაკიაოს, ერიკ მორალესს, ტოშიოკი ნიშიოკას, ვიკ დარჩინიანსა და ედგარ სოსას. აქედან ფლოიდ მეივეზერს ნოემბერში, ბანგკოკში კრივის მსოფლიო საბჭოს 51-ე კონფერენციაზე მიანიჭეს უდიდესი ჩემპიონის წოდება. დღემდე ასეთი წოდება არავისთვის მიუნიჭებიათ.

ვიტალი კლიჩკოს რინგიდან წასვლის შემდეგ WBC-ს საჩემპიონო ქამარი ვაკანტურად გამოცხადდა.

თუ კლიჩკო რინგზე დაბრუნებას გადაწყვეტს, მას მიენიჭება უპირატესობა შეხვდეს საბჭოს ჩემპიონს. მეტიც, კრივის მსოფლიო ორგანიზაციამ საგანგებო მიმართვაც კი მოამზადა, რომელიც ერთგვარი მხარდაჭერაა ვიტალისადმი სამშობლოში დემოკრატიისთვის ბრძოლაში.

ძმები კლიჩკოები დღემდე ფლობდნენ WBA (ასოციაცია) , WBO (ორგანიზაცია), IBF (ფედერაცია) და IBO (საერთაშორისო ორგანიზაცია) ტიტულებს. აქედან საბჭოს ქამარი ვიტალის ხელთ იყო.

ერთი სიტყვით, ყველა ძირითადი და პრესტიჟული საჩემპიონო ქამარი უკრაინელ ძმებს ეკუთვნით.

ვიტალი კლიჩკოს პროფესიული საკრივო კარიერა დაიწყო 1996 წლის 16 ნოემბერს. მას შემდეგ უფროსი კლიჩკო 47-ჯერ ავიდა რინგზე. 45 ბრძოლა მოიგო, აქედან 41 ნოკაუტით და ორში დამარცხდა.